20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

12/12/2025 N 186

თბილისი

შპს „ფოვერ ექს“-ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 9 ივლისის N167/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 16 სექტემბრის N235/04 ბრძანების საფუძველზე:

1. გაუქმდეს შპს „ფოვერ ექს“-ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის (საიდენტიფიკაციო ნომერი 445745409) რეგისტრაცია სარეგისტრაციო ნომრით 0235370, მისამართზე: ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძის ქ., N 95, ბ. N32;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ფოვერ ექს“-ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 25 ივლისის N301 განკარგულება;
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ირმა ბოკუჩავა

დეპარტამენტის უფროსი
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი